ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №716251

ნომერი: AR1130221

თარიღი : 08.05.2013

გაცემის თარიღი : 03.06.2013

გაცნობის თარიღი : 03.06.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კაირო , N 20 , (ნაკვ. 02/035) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან ძნელაძე პ/ნ 01030042651
- თბილისი მნათობის ქ. N 28

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ცვლილება 03.07.2012წ. ქალაქთბილისისმერიისსსიპ– ქალაქთბილისისარქიტექტურისსამსახურის№237079 გადაწყვეტილებითდამტკიცებულსამშენებლოდმიწისნაკვეთისგამოყენებისპირობებშიცვლილებისშეტანისთაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 08 მაისს AR1130221 განცხადებით მოგვმართა მოქ. ლევან ძნელაძემ და მოითხოვა 03.07.2012წ. №237079 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების განხორციელება, კერძოდ: კერძოდ სასაწყობე შენობა–ნაგებობის მაგივრად სასაწყობე შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენებით) და ახალი მრავალფუნქციური ობიექტის (სასაწყობე, ავტო ნაწილების მაღაზია და ავტო ტექნიკური სერვისი) დამატება.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისში, კიროვის

ქუჩა 20–ში, №01.19.21.002.035 საკადასტრო ერთეულზე, სამრეწველო ზონა 1 (ს–1), საზოგადოებრივი ფუნქციის მქონე ობიექტის ასაშენებლად №237079 გადაწყვეტილებით დამტკიცდა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.

დღეისათვის, როგორც განაცხადიდან ირკვევა დამკვეთი გააჩნია სურვილი დააკონკრეტოს საპროექტო ობიექტის ფუნქცია – სასაწყობე შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენებით) და ახალი მრავალფუნქციური ობიექტის (სასაწყობე, ავტო ნაწილების მაღაზია და ავტო ტექნიკური სერვისი) მშენებლობა. „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილების თანახმად, სამრეწველო ზონა არის ზონა სადაც განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს სამრეწველო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. სამრეწველო ზონაში დასაშვებია საზოგადოებრივი შენობების/სამყოფების არსებობა კანონმდებლობის შესაბამისად.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დააკმაყოფილოს დამკვეთის მოთხოვნა და შეიტანოს ცვლილება მის მიერ გამოცემულ აქტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის, „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4–13 გადაწყვეტილების თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება 03.07.2012წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №237079 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ ობიექტი ფუნქცია ჩამოყალიბდესშ ემდეგი რედაქციით: სასაწყობე შენობის რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენებით) და ახალი მრავალფუნქციური ობიექტის (სასაწყობე, ავტო ნაწილების მაღაზია და ავტო ტექნიკური სერვისი), ასევე შენიშვნის სახით დაფიქსირდეს 1) ავტო-სერვისის ბოქსები განთავსებულ იქნეს ტერიტორიაზე ისე, რომ მათი მომსახურეობა არ აღიქმებოდეს გ. ლორთქიფანიძის ქუჩის მხრიდან; 2) საექსპერტო შეფასების განხორციელება სარეკონსტრუქციო შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას 03.07.2012წ. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №237079 გადაწყვეტილებასთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.